



შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“

ს/კ (225368330)

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	613,848	59,953
სავაჭრო მოთხოვნები	2,018,414	1,661,601
მარაგები	214,723	110,709
საინვესტიციო ქონება	82,923	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	168,233	0
სულ მიმდინარე აქტივები	3,098,141	1,832,263
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3,147,032	2,033,595
გუდვილი	4,036,150	4,036,150
გრძელვადიანი აქტივები	7,183,182	6,069,745
სულ აქტივები	10,281,323	7,902,008
ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	181,455	597,072
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	580,635	752,092
საგადასახადო ვალდებულება	0	3
სხვა ვალდებულებები	90,889	54,470
სულ ვალდებულებები:	852,979	1,403,637
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7,501,941	5,387,481
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7,501,941	5,387,481
სულ ვალდებულებები:	8,354,920	6,791,118
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	1,926,403	1,110,890
სულ საკუთარი კაპიტალი	1,926,403	1,110,890
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:	10,281,323	7,902,008

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკის“

დირექტორი:

/გია სანიკიძე/



შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

საქმიანობის შედეგები	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი რეალიზიციიდან	9,452,204	5,333,401
სხვა შემოსავლები	892,775	333,855
სულ შემოსავლები	10,344,979	5,667,256
მარაგების ხარჯი	(2,916,271)	(1,238,230)
შრომის ანაზღაურება	(3,260,470)	(2,412,973)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(366,075)	(572,345)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		(92,552)
სულ ხარჯები:	(6,542,816)	(4,316,100)
საოპერაციო მოგება	3,802,163	1,351,156
საპროცენტო ხარჯები	(584,228)	(573,834)
ცვეთა და ამორტიზაცია	(276,361)	(235,608)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(1,690,148)	(0)
	(2,550,737)	(809,442)
საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი)	1,251,426	541,714
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო წლის დასაწყისში	1,110,890	668,247
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	(435,913)	(99,071)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.	1,926,403	1,110,890

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკის“

დირექტორი: /გია სანიკიძე/



შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში. ს/ნ 225368330. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ. ბოლნისი, დავით აღმაშენებლის N25

კომპანიის დამფუძნებლები არიან დარეჯან ჩხეტიანი -50 % და გია სანიკიძე -50%. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება.

კლინიკაში საშუალოდ დასაქმებულია 225 მდე ადამიანი. დასაქმებულთა შორის არიან:

- სხვადასხვა პროფილის ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის ნებართვით);
- უმცროსი ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- საშუალო მედპერსონალი, ექთნები და ექთნის დამხმარეები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- ადმინისტრაციის თანამშრომლები;
- დამხმარე პერსონალი (ტექნიკური პროფილის მქონე პერსონალი, სანიტრები და სხვა).

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება კლინიკაში დამტკიცებული ტარიფებისა და სხვადასხვა დამფინანსებელი ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კლინიკაში მოქმედი ტარიფები შედგენილია შიდა

სამედიცინო სტანდარტების საფუძველზე გასაწევი ხარჯების შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება პაციენტის ან სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ.

შემოსავლების მხრივ მსხვილი დამფინანსებელია სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სამსახური, აგრეთვე კლინიკა თანამშრომლობს კერძო სადაზღვევო კომპანიებთანაც.

კლინიკის ძირითად მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (რადიაციული უსაფრთხოების კუთხით)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

3. ამონაგების აღიარება

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კლინიკა მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირების, ფასდაკლებების გათვალისწინებით. კლინიკის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებთან, სახელმწიფოსგან, ფიზიკური პირებისგან და სხვა კორპორატიული დებიტორებისგან მიღებულ შემოსავალს.

4. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც, ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება საგადასახადო მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახავის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

6. აქტივების გაუფასურება.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არმოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

8. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021		
კერძო სადაზღვევო კომპანიები	163,090		
სოციალური მომსახურების სააგენტო (საყოველთაო დაზღვევა)	1,827,062		
სხვა ორგანიზაციები	28,262		
სულ სავაჭრო მოთხოვნები	2,018,414	სულ სავაჭრო მოთხოვნები	2,

9. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

კლინიკა წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს. ახალი სტანდარტის ამოქმედების შემდეგ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის მეთოდი არ შეცვლილა რადგან მსს ფასს 17.22 იძლევა აღნიშნული მოდელის

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, საგადასახადო მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20-პროცენტი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 20- პროცენტი

სატრანსპორტო საშუალება 20 პროცენტი,

შენობა-ნაგებობები 5 %.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების კლასი	ნაშთი 31.12.2020	ზრდა	გასხვისება	ცვეთა	ნაშთი 31.12.2021
მიმდინარე რემონტი	454,764	1,028,597			1,483,361
შენობები	474,934			23,747	451,187
ნაგებობები	125,273	-		6,319	118,954
მანქანა-დანადგარები	794,953	274,359		203,862	865,450
ოფისის აღჭურვილობა	19,023	73,699		10,100	82,622
ავეჯი და სხვა ინვენტარი	151,152	13,320		31,207	133,265
სატრანსპორტო საშუალებები	13,495	0	246	1,056	12,193
ჯამი:	2,033,594	1,389,975	246	276,291	3,147,032

10. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

11. საგადასახადო და შეღავათები

კლინიკის მიერ გადახდილი საგადასახადო 95%-ზე მეტი წარმოდგენილია საშემოსავლო გადასახადის სახით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო დეკლარაციებში ასახული გადასახადის ოდენობით.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. "ესტონური მოდელით". დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. ასევე ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადიდან, ხოლო სამედიცინო მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადიდან ჩათვლის უფლების გარეშე.

პანდემიის პერიოდში, კონკრეტულად 2021 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით კლინიკა სარგებლობდა საგადასახადო შეღავათებით, რაც გულისხმობდა თვეში 1500 ლარამდე ხელფასის გათავისუფლება კლინიკის მიერ

ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადისგან. საგადასახადო შეღავათმა 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 93,865 ლარი

12. მიმდინარე ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, კლინიკა ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური ვალდებულება კლინიკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, ამოიწურება ან დაიფარება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო ვალდებულებები	31/12/2020	31/12/2021
სამედიცინო დანიშნულების საქონელი და მომსახურება	597,072	181,455
სულ სავაჭრო ვალდებულებები	597,072	181,455

13. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გრძელვადიანი სესხები	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
სესხი ეროვნული ვალუტით	5,387,481	7,501,941
სულ გრძელვადიანი სესხები:	5,387,481	7,501,941

14. ხარჯები

კლინიკაში შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	
ელ-ენერგიის ხარჯები	177,930
სატელეფონო და ინტერნეტის ხარჯები	7,115
წყალმომარაგების ხარჯები	13,561
ბუნებრივი აირის ხარჯები	53,966
დასუფთავება	2,105
საკონსულტაციო ხარჯები	1,390
დაზღვევის ხარჯი (არდი)	31,077
მიმდინარე რემონტი	19,468
კომპიუტერის ხარჯები	7,000
საწვავის ხარჯები	11,162
დიზელ-გენერატორის შემოწმების ხარჯი	1,416
მომსახურების ხარჯი	1,273
საკომისიო ხარჯი	6,676
სხვა ხარჯები	31,936
სულ:	366,075

15. საწესდებო კაპიტალი


კლინიკის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კლინიკის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. კაპიტალში შენატანი საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა. პარტნიორთა გადაწყვეტილებით საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდები გაიცა.

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკის“

დირექტორი:

 /გია სანიკიძე/

